ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №10.33/10/065

ქ.თბილისი **11 მაისი 2022 წ.**

ერთის მხრივ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგეობა (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი გამგებლის ნიკა ელისაშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს „პრინტ გალერია“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი დირექტორის დავით გვენეტაძისს სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე დებენ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით;
1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.3 „შემსყიდველი“ -ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4 „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ასრულებს სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

2. ხელშეკრულების საგანი და საფუძველი

2.1 ხელშეკრულების საგანია სავიზიტო ბარათების და პლასტიკურ ბარათების ბრენდირებით შესყიდვა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით;

№	დასახელება	რაოდენობა	ერთ. ფასი, ლარი	ჯამი, ლარი
1	სავიზიტო ბარათი	50	0.30	15
2	პლასტიკურ ბარათი, ბრენდირებით	15	5,30	79,50
	სულ:			94,50

2.2.CPV კოდი 30199730.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 94,50 (ოთხმოცდათოთხმეტი ლარი 50 თეთრი) ლარს;
3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში;
4.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და საფინანსო დოკუმენტაციის საფუძველზე;
4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან არაუგვიანეს 10 დღის განმავლობაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით;
5.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირს ქ. თბილისის ისნის რაიონის გამგეობიდან წარმოადგენს გამგეობის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი თამარ ნავროზაშვილი.

6. საქონლის მიწოდების ვადა

6.1. საქონლის მიწოდების ვადაა არაუგვიანეს 2022 წლის 10 ივნისი.

6.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი: ქ.თბილისი, ნავთლუღის ქუჩა №8-1, ისნის რაიონის გამგეობა.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი სათანადო ხარისხით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0.02%-ის ოდენობით;
8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;
8.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისა ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით;
8.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;
9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;
9.4. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.3. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება მიღების განზრახვის შესახებ;
9.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ

.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება შეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2022 წლის 10 ივლისი.

13. სხვა პირობები

13.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით;
13.2. მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე;
13.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;
13.4.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

ისნის რაიონის გამგეობა
მის. ქ.თბილისი, ნავთლუღის ქუჩა №8-1
ხაზინის ერთიანი ანგარიში

კოდი TRESGE22
საიდენტ. კოდი 208 204 959

გამგებელი

_____ ნ. ელისაშვილი

მიმწოდებელი:

შპს „პრინტ გალერია“
მის. ქ. თბილისი, რუსთავის გზატკ N19
სს „თი ბი სი ბანკი“
ა/ა GE75 TB71 8233 6080 1000 08
კოდი TBCBGE22
ს/კ 404 577 052
საკონტაქტო ტელეფონი: 593 94 99 08
დირექტორი

_____ დ. გვენეტაძე

ISANI DISTRICT BOARD OF CITY TBILISI
Digitally signed by ISANI DISTRICT BOARD OF CITY TBILISI
Date: 2022.05.11 13:06:25 +04'00'

Davit Gvenetadze 01016005965
Digitally signed by Davit Gvenetadze
Date: 2022.05.13 12:50:09

ქ. თბილისი 11 მაისი 2022 წ.

„ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე, ვადასტურებ, რომ ჩემი მონაწილეობა **სავიზიტო ბარათების და პლასტიკურ ბარათზე ბრენდირების** შესყიდვასთან დაკავშირებულ საქმიანობაში არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

სავიზიტო ბარათების და პლასტიკურ ბარათების ბრენდირებით შესყიდვაზე, 2022 წლის 11 მაისს გაფორმებული №10.33/10/065 ხელშეკრულების შესრულების კონტროლსა და ზედამხედველობაზე განმახორციელებელი ფიზიკური პირი:

გამგეობის საორგანიზაციო
განყოფილების უფროსი თამარ ნავროზაშვილი